

მეცხეობა

1885-1886

მწევესი დამატებით გამოდის თვეში სუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს ჭ ოც-და-ათ რიცხვებში.

ჩვენი წარმადი ვაჟ-გაბონების და ძალ-გაბონების საუკრადლოდ.

სტატია მესამე.

მხლა გადავვლოთ თვალი ჩვენი ახალ-გაზდა ქალების ცხოვრებას, შევიძლება მათში მაინც რამე სანუგეშო ვხვდეთ. შევიძლება, იმ უქმად მოსიარულე ახალ-გაზდა ყმაწვილების დები ეგებ მაინც შრომობდნენ და ემზადებოდნენ, რომ შემდეგში ჭკვიანი დედები და კარგი მეოჯახენი შეიქმნენ, რომ მათ ამ სახით შესძლონ, რომ სამშობლოს ღირსეულნი შეილნი აღუზარდონ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ყმაწვილ ქალებშიც საიმედოს ვერას ვხედავთ. ეს ქალ-ბატონები ღირსი დები არიან თავიანთი უსაქმო ძმებისა და ბევრში კიდევ აკარებენ მათ. უმეტესი ნაწილი ჩვენი ახალ-მოზარდე ქალებისა უფრო უსაქმო და გაფანტულ ცხოვრებას ეძლევა. მსენი მთლად შეუწყრია თავის-თავის მოყვარებას. მათი საქციელი, ლაპარაკი და მსჯელობა მოგაგონებს თეატრებში მოთამაშე ქალების საქციელს. მს ახალ-გაზდა ქალები სრულიად არა ჰფიქრობენ, რომ შემდეგისთვის ხეირიანი დედები გახდნენ და თავიანთ შეილების გულში აღძრან და ააყვარან სამშობლოს სიყვარული და ძრისტეს სწავლა. მათ დაეიწყებიათ ის მაგალითები, რომლებიც ჩვენმა უწინდელმა დედებმა უანდერძეს ჩვენს ქალებს. უმეტეს ჩვენ მოზარდე ქალებში ვერ ვხვდებით ევროპის ხეირიან მოსაზრებას და ევროპის ხეირიან მსჯელობას. რომელ ჩვენ ახალ-გაზდა ქალს უდგია წინ მაგალითად წმ. ნინა, რომელმაც საქართველოს მოჭფინა კეშმარიტება ძრისტესი, დიდებული თამარი და მეთევანი, რომელმაც თავის

წამებით დააგვირგინა სჯული ძრისტესი? ნაცლად ამებისა უმეტესი ჩვენი ყმაწვილი ქალების ყურადღება მთლად ჩაცმა-დანურავზე არის მიქცეული. მსეთი ქალები მუდამ მზე ჰფიქრობენ, თუ რა და როგორ ჩაიცვან. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა გაუადვილებით ღირსიან ეს ქალ-ბატონები ბრწყინვალე დღესასწაულების წინ და ეძებენ «მოღნი ყურნალებს», რომ ახალ მოდაზე შეაკერონ-ონ მკერვალით კაბები! ამისთანა პირთა, სურვილიც რომ ჰქონდესთ, დრო აღარ ურჩებათ, რომ თავის სულს საზრდო მისცენ და გონება გაიხსნან. ასეთი ქალების საქმე მხოლოდ ის არის, რომ დილით ადგნენ, ჩაი დალიონ, კარგად ჩაიცვან, გამოვიდნენ ბაღებში და იქ ნაშუადღევის სამ საათამდის ისეირნონ. ასეთ სასეირნო ადგილებში ეს ქალ-ბატონები ბლომად ნახულობენ თავის მზგავს უსაქმო და ცუდ-უბრალოდ მოსიარულე პირებს. მთელი ზუთი საათი ერთად სტკეპნიან ბაღებში მიწას და ბაასობენ, მაგრამ მათი ბაასის საგანი ისეთივე ფუჭი არის, როგორც თვით მათი ცხოვრებაც. სადილობის შემდეგ ეს ქალ-ბატონები თავიანთი ღირსეული კვალკებით ისევ გამოდიან სასეირნოდ და მხოლოდ შუალამისას ბრუნდებიან სახლში და მიეცემიან მოსვენებას. რისგან წარმოდსგება ყოველივე ესე?—ერთი მხოლოდ უსაქმოებისაგან, რომელიც დედა ყოველივე ბიწიერებისა.

რასაკვირველია, რომ ასეთ ცხოვრებას მიჩვეულნი ქალ-ბატონები არ ისურვებენ დედათ გახდომას; ისინი მტკიცედ შეთვისებიათ უქმ ცხოვრებას და ერიდებიან ყოველივე იმას, რაც მათგან მოითხოვს შრომას და მსხვერპლს. მათ ეზარებათ შრომა და მეოჯახეობა, არა სურთ შეილების მოვლა, მაგრამ, როგორც სუსტნი არსებანი, ვერც ბუნების კანონიერ მოთხოვნილებას ეწინააღმდეგებიან ქალწულობაში.

მს არის მიზეზი, რომ ჩვენს ადგილობრივ გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ ასეთ განცხადებათ: «გუშინ ამა და ამ კაცის სასლთან მიაგდეს პატარა ყმაწვილი; როგორცა სჩანს, ყმაწვილი სულ ორი დღისა იქნება». ასეთ განცხადებებს ერთსა და იგივე გაზეთში ვკითხულობთ არა ერთს და ორს. რამდენი იქნებიან ისეთი უკანონოდ ნაშობნი, რომელთაც ვერ ნახულობენ და რომელთაც ცოცხალს ჰგულებენ მიწაში. რას გვიმტკიცებენ ასეთი ფაქტები? რასაკვირველია იმას, რომ უქმად მოსიარულე ქალ-ბატონებში წარმოუდენლად აძრიედიებული ერთი მხოლოდ ცხოველური გრძნობა, რომელსაც დაუზღვია ამ ქალებში შეილისადმი სიყვარული დედისა. მსევე ფაქტები გვარწმუნებენ, რომ კაცი ხშირად უბრალო ცხოველებზედაც ძირსა სდგას ზნეობითად. მის უნახავს ახლად ნაშობი ხბო, რომელსაც თავის დედა თავზე არ ადგეს და არ ლოკავდეს. ასე იქცევიან ყველა სხვა ცხოველებიც. ზანა ჩვენგან ზემოთ დასახელებულ მაგალითებს ეხედავდით უწინ ჩვენს საქართველოში? სრულებითაც არა. მაშინდელი ჩვენი ქალები ნამდვილი დედები და მეოჯახენი იყვნენ და რამდენათაც ბევრი შვილები მიეცემოდათ მათ, იმდენად უფრო მოხარული იყვნენ. ამ შვილებს მაშინდელი დედები თავსა სწირავდნენ და მათგან ერთ-ერთ შვილებს უმზადებდნენ ჩვენს წამებულს სამშობლოს. უწიდელ დროში ის ქალი, რომელსაც შვილები არ ეყოლებოდა, მეტათ სწუხდა და თავის თავს უბედურადა სთვლიდა. ასეთი შვილიერობისადმი სიყვარული აპატიოსნებდა ჩვენს უწინდელ ქალებს. მსევე სიყვარული ამ ქალებში აღვიძებდა სხვა მრავალ კეთილ საქმეთადმი მიდრეკილების სურვილს. ისიც არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ უწინდელ დროშიაც არ ყოფილიყვნენ ჩვენს საქართველოში ისეთი ქალები, რომელთაც თავიანთი ცხოვრება უმნიშვნელოდ და უქმად არ გაეცარებოდათ; მაგრამ ჩვენ დღეს ვლავარაკობთ უმეტესობაზე. უწინდელ დროში თუმცა ასეთი ქალებიც იყვნენ, მაგრამ მათი რიცხვი მეტად მცირე და შეუნიშნავი იყო. მათი საქციელიც არავის მოსწონდა და ყველაში სიმძულვარეს და ზიზღსა ჰბადებდა. დღეს კი ჩვენს საქართველოში ასე უქმად მოსიარულე ქალები ბლომად არიან. მათი ცუდი საქციელი დღეს ჩვეულებრივ მოვლენად შეიქმნა და ისე შეეთვისენ ყველანი, რომ ამ ქალების ცუდ და უზნეო საქციელში ვითომ ცუდსა ვერას ხედევენ და ხშირად უზნეო საქციელს კანონიერადაც სთვლიან.

რაც უფრო მეტად დააკვირდებით ჩვენი ახალგაზდობის ორსავე სქესის ცხოვრებას, მით უმეტეს

ჩვენი მწუხარება ორკაცდება. ორკაცდება შიგნით, რომ ეს ახალგაზდობა მართო ერთი და ორი პირისაგან არ შესდგება. ასე ცუდ-უბრალოდ და უსაქმოად მოსიარულე პირნი შეადგენენ ჩვენი საზოგადოების უმეტესობას. ჩვენში დღეს სიზარმაცე, უსაქმოა, ცუდ-უბრალოდ დაფლანგვა ყოველივე იმ სიმდიდრისა, რომელიც ჩვენთვის დაუტოვებია ჩვენს მშობლებს, ოჯახებური მშვიდობიანობის დარღვევა, უსინდასობა, ფარისევლობა, ავანაკობა, სხვისი საკუთრების და პიროვნების შებლაღვა, სარწმუნოებისადმი გულ-გრილობა და სხვა ამ გვარი ცუდი თვისებანი ხშირი მოვლენანი არიან. და რას უნდა მოვლოდეს ჩვენი სამშობლო შემდეგში ამისთანა თვისებით აღჭურვილ პირებისაგან? სწორეთ დრო არის, რომ ამაზე რამე ვიფიქროთ. მართალია, რომ ყოველი ბოროტი კაცის მოქმედება ისპობა, მაშინ როცა ეს მომქმედი ბოროტი პირი ჰკედება. მაგრამ სიკვდილიც ვერა შველის საქმეს ყოველთვის. ღამტკიცებულია, რომ პატარა ყმაწვილები იმავე სენით არიან აღჭურვილნი, რომლებითაც მათი მშობლები იყვნენ შეიარაღებულნი. ზარდა ამისა მაგალითი ძალიან მოქმედებს პატარაებზე. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კაი შვილიერობას მოგვცემენ ზემოდ-აღნიშნული ვაჟ-ბატონები და ქალ-ბატონები და ან რა კაი ზედ გავლენა ექნებათ მათ შემდეგ ცხოვრებაში თავიანთ შვილებზე. რა კაი ზნეს და მიმართულებას მიეჩევიან შვილები იმისთანა მშობლებისაგან, რომელნიც მთელს თავის ცხოვრებას ცუდ-უბრალოდ ატარებენ, ფლანგვენ თავიანთ მშობელთაგან დატოვებულ სიმდიდრეს და იმ ხანჯლით, რომელიც წინაპართა უანდერძეს მათ სამშობლოს და სარწმუნოების დასაცველად, ხოცვენ თავიანთ მოძმეებს? მს ცუდი მაგალითები ისე ცუდად მოქმედებენ ახალ-მოზარდ თაობაზე, რომ ეს ახალი თაობაც უფრო ადრე იწყებს ყოველივე ავ-კაცობას და მთლად ამზობს იმ მხარეს, რომელიც მისგან დიდ იმედს მოვლოდა. მს ყოველივე წარმოსდგება უქმი და გაფანტული ცხოვრებისაგან. შეიძლება ეს უსაქმოა შედეგი იყოს მისი, რომ ჩვენ ვითომ არ ვიცოდეთ ცხოვრების მიზანი, რომლისადმი უნდა მიისწრაფებოდეს თვითთელი ჩვენგანი და მასთან ვითომ არ ვიცით, თუ რაზედ უნდა ვიხმართ ჩვენი ჭკუა და გონება? თუ ესეებიც აღარ ვიცით, მაშ რაღა უფლება გვაქვს, რომ მართლ-მადიდებელ ძრისტიანებად ვიწოდებოდეთ? ცხოვრების მიზანი გარკვევით არის გამოხატული სახარებაში, რომლის სიტყვები ჩვენ

ყოველ დღეს გვესმის ეკლესიაში, თუ განგებ არ მოვიყრუებთ ყურებს. ძრისტეს სწავლამ, რომელმაც ნათელი მოთინა ქვეყნიერებას, გვასწავა ჩვენ, რომ სიყვარული ღვთისა, მოყვებისა და თავის თავისა არის მიზანი ჩვენი ცხოვრებისა. ამ მიზანზე უფრო მაღალი და უწყობილესი მიზანი არა არის რა და ამიტომ ამ მიზნის განხორციელებას უნდა ვსწირავდეთ და ვახმარდეთ ჩვენს გონებას და ძალას. ცხოვრების მიზანი ჩვენ კარგათვის, მხოლოდ ეს მიზანი კარგად არა გვაქვს შეგნებული და ამიტომ ჩვენც გულისთ ვერ ვახორციელებთ მას ცხოვრებაში.

სასამართლოს მართან

შველელობა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუღუცისა ლალიაშვილის-მიერ.

მრავალთ, 16 ივნისს, დილის 10 საათზედ დაიწყო ლალიაშვილის საქმის გარჩევა სამხედრო სასამართლომ. სასამართლოს თავს-მჯდომარედ იყო სამხედრო მოსამართლე პოლკოვნიკი ქ. იაჩეცკი. დროებითი წევრნი: პოლკოვნიკები საგინოვი და ბაიკოვი, კაპიტანი სარაჯოვი და შტაბს-კაპიტანი მაქსიმოვი, სეკრეტრის თანამემწედ იყო პოროვნიკოვი. ბრალ-მდებელად იყო სამხედრო პროკურორის თანამემწე ი. მონატსკი. ბრალდებულის დამცველად ნაფიცი ვეკილი ე. ტურკევიჩი.

დარბაზი სასამართლოსი სავსე იყო ხალხით. ძაღლებიც მრავლად დაესწრნენ, ხალხით სავსე იყო აგრეთვე ქუჩა სასამართლოს სახლის წინ.

როცა მოსამართლენი გამოვიდნენ, თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე თბილისის სემინარიიდან გამორიცხულის მღვდლის შვილის იოსებ ნაკობის-ძის ლალიაშვილისა. ლალიაშვილის ჰბრალდება, რომ მან განზრახვით ჩაიდინა მკვლელობა. თავს-მჯდომარემ მოითხოვა, რომ შემოეყვანათ ბრალდებული. ლალიაშვილის თავს სამხედრო ყარაული აღვა. ბრალდებული ახალ-გაზდაა, თერამეტ-ცხრამეტის წლისა უნდა იყოს. შეგ-გვრემანია, უღვაშები და წვერი ახლად ამწვანებული აქვს, აცვია ჩვეულებრივი სატუსალო ხალათი, თხვი თავისუფლად უჭირავს. როცა თავს-მჯდომარემ გამოკითხვა დაუწყო,

რა გქვიან, ან რა წოდებისა და რა წოდებებისა ხარო, ლალიაშვილმა სხვათა შორის სთქვა, რომ 19 წლისა ვარო.

დაიწყო მოწმეთა რიცხვის შემოწმება. აღმოჩნდა, რომ 14 მოწმეთაგან მხოლოდ ორი არ გამოცხადებულიყო: სიმამრი მოკლულის ჩუღუცისა, მღვდელი მანჭელი ავად-მყოფობისა გამო და თანამემწე სემინარიის ინსპექტორისა მახათაძე—რადგან შეღწეულადსკი წასულიყო. ამ ორ მოწმის მოუსვლელობამ საქმე არ დააბრკოლა და ამიტომ დაიწყო საქმის გარჩევა.

მოწმენი ცალკე ოთახში გაიყვანეს. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა საბრალ-მდებელთა ოქმი შემდეგის შინაარსისა:

24 მაისს 1886 წელს, დილის 10¹/₂ საათზე, თბილისის სემინარიის მე-2 და მე-3 კლასის შეგირდებისა და მასწავლებლებისა მიქტორ ლატოცკისა და ბიორგი ჩეტირკინის ყურადღება მიიქცია ქალის საშინელმა ყვირილმა, რომელიც ისმოდა სემინარიის შენობის ეზოდან. შეგირდები მაშინ საეგზამენიო თხზულებასა სწერდნენ და მასწავლებლებიც თვალს აღევნებდნენ შეგირდების მუშაობას. მაიგონეს თუ არა ყვირილი, ყველანი მასწავლებლებნიცა და შეგირდებიცა გამოვარდნენ კლასებიდან აივანზე და დაინახეს, რომ პირ-და-პირ აივანზე, რომელზედაც რექტორის სადგომის კარი გამოდის, შიგ კარებშივე სდგას თვით გასისხლიანებული რექტორი სემინარიისა, დეკანოზი პავლე ჩუღუცკი და იმის გვერდითვე სდგანან მისი მეუღლე მარიამ ანანიას ასული და ამისი დვილი დაი, გასათხოვარი მკატერივე მანჭელი და იფარავენ რექტორს იმას წინად სემინარიიდან გამორიცხულის იოსებ ლალიაშვილისაგან, რომელიც იდგა იქვე და იქნედა ამოღებულს ხანჯალს. მასწავლებლებნი ლატოცკი და ჩეტირკინი დაუყოვნებლივ გაიქცნენ იქითკენ და ორივე ხელი დაუჭირეს ლალიაშვილსა. ამავე წამს მოვარდა თავის სადგომიდან ინსპექტორის თანამემწე, ნიკოლოზ მახათაძე, რომელსაც ყვირილი გაეგონა და გამოსტაცა ლალიაშვილის ამოღებული ხანჯალი და მერე თვით ლალიაშვილი წაიყვანეს მახათაძის სადგომში, საცა შეუწყვეტლივ თვალ-ყურს აღევნებდნენ—ჯერ მასწავლებლებნი, ხოლო შემდეგ პოლიციის მოხელე სოკოლოვსკი. დაჭრილი რექტორი შევიდა თავის კაბინეტში, გაიხადა წალები, აიღო საწოლიდან ბალიში, დაწვა იატაკზე და სთქვა: „მკვდებიო“.

ამ დროს მოვიდა ინსპექტორი სემინარიის იაკობ სტეფანოვი. მან დაუყოვნებლივ გაჰგზავნა კაცები ექიმებთან და უბრძანა, რომ მთავრობის ყველა წარმომადგენლო შეატყობინეთ ეს ამბავი.

მალე მოვიდნენ მე-3 ნაწილის ბოქაული პუშკინსკი და პროკურორი თბილისის ოლქის სასამართლოს ჩაიკოვსკი. ამათ როცა ჰკითხეს დეკანოზს ჩუდეცკის, ვინ დაგჭრაო, დეკანოზმა უპასუხა: „**ლალიაშვილმაო**“. ეს გარემოება ოქმში იქმნა ჩაწერილი. შემდეგ აღარა უკითხავთ რა, რადგან დაჭრილი ფრად დასუსტებული იყო.

მალევე მოვიდნენ ექიმები და გამოძიებელი დიდათა მძიმეთა საქმეთათვის დანიშნული, გვარად რუსანოვი. როცა ექიმებმა თავისი საქმე გააკეთეს, სასამართლოს გამოძიებელმა დაუწყო კითხვა დეკანოზს მისი ამბის შესახებ. დეკანოზმა სთქვა: „მე დამჭრა სემენარიიდან გამორიცხულმა შეგირდმა **ლალიაშვილმა** შურისძიების მიზნითაო. დამჭრა ტაღანშიო“. შემდეგ დეკანოზმა ველარა სთქვა რა, სულთმობრძავი შეიქმნა და მალე გარდაიცვალა.

როცა გვამი გასინჯეს გარედგანა და გასჭრეს, აღმოჩნდა რომ ორივე ხელი სხვა-და-სხვა ალაგას ჰქონდა დაჭრილი და ამას გარდა კიდევ სხვა სამი კრილობა სჩანდა: ერთი კისერზე, მეორე ფერდთან და მესამე კიბ-ზემოდამ, ოთხის თითის დადებაზე. ეს იარა ღრმად წასულიყო მუცელში ზემოდ და მარცხნივ. ძუჭი და დიდი წელი დაზიანებული არ იყვნენ, ხოლო წვრილი წელი სამ ალაგას იყო ნახევრობამდე გაჭრილი და ერთ ალაგას კი სულ მთლად გაკვეთილი იყო. გაჭრილი იყო აგრეთვე დიდის წელისა და მუცლის ქონი და ღვიძლიც მარცხნივ მხრით. თავის სარქველის ძვლები დაზიანებული არ იყო. როგორც სთქვეს ექიმებმა, რომელთაც გასჭრეს გვამი, ესე იგი, რუდკოვსკიმ, პოტაეზომა, ჰოლბეკმა და მაისურიანცმა, რექტორი მოკვდა მუცლის სასიკვდილო კრილობისა და სისხლის დაცლისაგანაო.

ამ ამბის პირველმა მოწმებმა, მეუღლემ დეკანოზის ჩუდეცკისამ, მარიამმა და მისმა დამ, წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელმა მკატერინე მანჯელემ ერთ-გვარათ აჩვენეს შემდეგი: პირველმა სთქვა, როცა საკუჭნაოდამ გამოვიდოდი, აქ შევნიშნე, რომ წინა-კარებიდან შემოდოდა ტაღანში შეგირდი ქაღალდებით ხელში. მე არ ჩავაქცერდი ამ შეგირდს, გავიარე დიდი ოთახი, სასტუმრო და შევედი კაბინეტში, საცა ჩემი ქმარი საქმობდაო. იქ

უთხარი, რომ შეგირდი აჩის მეთქი. როცა ჩემი ქმარი გავიდა შეგირდთან, მე და ჩემი და მკატერინე დავრჩით კაბინეტშიო. ორისა თუ სამის წამის შემდეგ მოგვესმა საშინელი ყვირილი დეკანოზისა. მრთ წამს გავცვივდით კაბინეტიდან, გავიარეთ სასტუმრო ოთახი და შევეცვივდით ზალაში. დეკანოზი ჩვენსკენ მოდიოდა გაჩქარებით, ორისავე ხელით მუცელი ეჭირა, უკან მოსდევდა შეგირდი ამოღებულის ხანჯლითა. აქ შევნიშნე, სთქვა შემდეგ მარიამ ჩუდეცკისამ, რომ ის შეგირდი **ლალიაშვილი** იყო, რომელსაც წინადაც ვიცნობდით. დეკანოზი შევიყვანეთ კაბინეტში და ჩვენ ორმა დამ სწრაფათ მივხურეთ კარი სასტუმრო ოთახისა და კაბინეტს შუა და კარს მხარი მივეცით, რომ **ლალიაშვილი** აღარ შემოგვეშვა, მაგრამ გვიანდა იყო. **ლალიაშვილმა** მოასწრო ფეხის შემოდგმა კარებში და შემოჰყო აგრეთვე ხელი, ხელში ამოღებული ხანჯალი ეჭირა. მინამ ეს ამბავი იყო, დეკანოზმა მოასწრო და კაბინეტიდან მეორე ოთახში გავიდა, რომელიც სასადილოთ იყო დანიშნული. ამ ოთახშივე გავიდა მკატერინე მანჯელი, მოხურა კარები და მოაწვა. მე კაბინეტში დავრჩით და სახელში წავეღლე ხელი **ლალიაშვილსა**, მაგრამ ვერ დავიმაგრეო. მაშინ კარებს დაუწყვევი აქეთ წვეა, მაგრამ **ლალიაშვილმა** დამძალა და შევიდა სასადილო ოთახშიო. დეკანოზი ჩუდეცკი ამ დროს სასადილო ოთახიდან სახლის უკანა კარებისაკენ წასულიყო ტაღანში და მერე კიდევ აქედამ ზემოხსენებულ აივანზე გასულიყო. როცა **ლალიაშვილი** შევარდა სასადილო ოთახში, ორთავე დამ ესტაცეთ ხელი, ერთმა სახელში და მეორემ პალტოშიო, მაგრამ ვერ დავიმაგრეთო, გამოვიკადა კიდევ დეკანოზს ჩუდეცკისა, დაეწია ბალკონზე და დაკრა ამოღებული ხანჯალი კისერშიო. როცა აქ ბრძოლა დაიწყო ამათ, მე დავესტაცე ხელი ამოღებულს ხანჯალს და ხელები დავიჭერიო. მაგრამ სწორეთ ამ დროს მოგვეშველნენ მასწავლებელნი **ლატოცკი** და **ჩეტერკინი** და შეიპყრეს **ლალიაშვილი**.

იმ დროს დეკანოზ ჩუდეცკისას სტუმრად იყო მისი სიმაბრი მღვდელი ანანია ივანეს-ძე მანჯელი, 60 წლის კაცი, რომელსაც სასადილო ოთახის გვერდზე ჰქონდა მიჩენილი ოთახი. ამ მოხუცმა აჩვენა, რომ ყვირილზედ გამოვედი ჩემის ოთახიდან სასადილო ოთახში სწორეთ იმ დროს, როცა კაბინეტიდან საჩქაროთ გამოიარა დეკანოზმა და გაეჭრა აივანისკენ, მას მიჰყვა ჩემი ქალი მკატერინე და ამას

კიდევ ხანჯალ-ამოღებული შევირდი, რომელსაც მოსდევდა მეორე ჩემი ქალი მარიამიო. მე გავშეშდიო, როცა დავინახე ამოღებული ხანჯალიო და ადგილიდან ვეღარ დავიძარიო.

შემო-აღწერილი გზა-დენილის დეკანოზის ჩუდდუკისა რომ სწორეთ ასეთი იყო, დამტკიცდა აგრეთვე იმ ოქმითაც, რომელიც იქმნა შედგენილი, როცა სადგომი გასინჯეს. ძარების ზალასა და წინა ტალანის შუა, და აგრეთვე ამ ტალანის ერთი კედელთაგანი და იატაკი სისხლით არის შესერილი. შემდეგ დიდ-ძალი სისხლი სჩანს იატაკზე ზალაში, სასტუმრო ოთახში, კაბინეთში, სასადილო ოთახში და უკანა ტალანში. აქვე ახლო ერთს ალავს იყო დაგუბებული სისხლი.

მარქაში ლალიაშვილის ხანჯლისა თეთრი იყო ტყავით გარ-შემოუყვრელი და ორსავე პირზე სისხლის ლაქები აჩნევია. მით ხანჯალი სიგრძით 10 გოჯია და სიგანით ერთ გოჯზედ ცოტა მეტი. ზედაც და ღარზედაც ეტყობა წითელი ლაქები, რომლებიც ექიმის პოტაპოვის აზრით, სისხლისაა — ისეთივე, როგორც ზედ ქარქაშზე.

შეპყრობილს იოსებ ლალიაშვილს მარცხენა ხელზე სამი ჭრილობა ჰქონდა. იოსებ ლალიაშვილს ეცვა დრაფის პალტო და ქვეშ ბლუზა. მარცხენა კალთა პალტოსი სისხლით არის მოსერილი, მარჯვენა კალთას კი ცოტა სისხლი ამჩნევია. სისხლი ეტყობოდა ორსავე სახელს, სისხლი აღმოჩნდა აგრეთვე ზრუგზე მარჯვენა მხართა, და პალტოს უკან კალთაზედაც, მარცხენა კალთაც ბლუზისა აგრეთვე სისხლით არის გასერილი, მარჯვენა კალთას კი ნაკლებათ აცხია.

როცა იმავე დღეს, 24 მაისს ამ ამბის გამო გამოკითხვა დაუწყეს, იოსებ ლალიაშვილმა სთქვა, რომ მე არაფარ დამნაშავე სემინარიის რექტორის, დეკანოზის ჩუდდუკის მკვლელობაშიო. ღილით მივედი მამა რექტორთან და არზა უნდა მიმკრთმიაო. არზითა ესთხოვდი, რომ მოეცა ჩემთვის მოწმობა ზორის სასულიერო სასწავლებლის კურსისა, რომელიც სემინარიის მართველობაში იყოფო. ბარნა რა მოხდა შემდეგ, აღარ მახსოვსო, არც ის, დავტყუარი რექტორი, თუ არაო. ხანჯალი რომ წარუდგინეს, სთქვა, რომ, ჩემიო, ამ კვირანახვერის წინად ერთის უცნობის მსისაგან შევიძინეო. სისხლი საიდგან გაჩნდა ხანჯალზე — არ ვიცითო. ამის შემდეგ ლალია-

შვილმა უარი სთქვა და აღარავითარი ჩვენება აღარ მისცა.

პოლიციის მოხელემ სოკოლოვსკიმ აჩვენა, რომ, როცა იოსებ ლალიაშვილი ჩემს მხედველობის ქვეშ იყო მახათაძის ოთახშიო, ამოიღო პალტოს ჯიბიდან ქაღალდები და უნდოდა დაეხიაო, მაგრამ მე გამოვართვი და გამომძიებელს წარუდგინეო.

როცა ეს ქაღალდები გასინჯეს, მათ შორის ორი შემდეგი ქაღალდი იყო: ერთზე ცალ მხარეზე ეწერა:

1886 წელს თბილისის ს. ს. სასულიერო მართლ-მადიდებელს სემინარიაში ბევრი შევიწროების ატანა მომხდა, სხვათა შორის მე წამართვეს დღიური, რომელშიაც გლანაჟავდი სემინარიის მოავრობასა უსამართლობისათვის.

თბილისის სასულიერო სემინარიასთან.

ი. ლალიაშვილი.

მეორე ქაღალდი ორათ შეკეცილი ნახევარი თაბახია; პირველსა და მეორეს გვერდზე ყარანდაშით არის დაწერილი შავად არზა იოსებ ლალიაშვილისა საქართველოს ექსარქოსთან. არზაში სთხოვს ექსარქოსს დამნიშნე მთავრად სადმე ან სოფელში, ან ქალაქშიო. არზას შემდეგ თავისი ხელი უწერია — ქვეით დანიშნულია „1886 წ. აპრილის“ „დღესა“. მესამე გვერდზე სწერია ყარანდაშითვე შავათ არზა იოსებ ლალიაშვილისა სემინარიის რექტორთან. ამ არზითა სთხოვს, დამიბრუნეთ მოწმობა სასულიერო სასწავლებლისაო და ჩემი სამი რეგულიო. არზის შემდეგ სწერია: „1886 წ. აპრილის“ „დღესა“. — მეოთხე გვერდზე სწერია: „მიეწყოს ყოველსა ღირსისამებრ მისისა“.

ამას გარდა, როცა ლალიაშვილი გაჩხრიკეს იქვე სემინარიაში, პალტოს ჯიბეში უპოვეს უკვე თეთრად გადაწერილი არზა საქართველოს ექსარქოსთან, რომ ღიაკენად დამნიშნე ან სოფელში და ან ქალაქშიო. არზას შემდეგ კი ქორონიკონი სწერია: „1886 წ. 17 მაისსა“. შარკლის ჯიბეში უპოვეს აგრეთვე ერთი ნაჭერი ამერიკისა 15 გოჯი სიგრძისა და ერთი გოჯი სიგანისა.

ეს ნაჭერი და მოხსენებული ქაღალდები, აგრეთვე გასერილი ტანისამოსი ლალიაშვილისა და ხანჯალი საქმეშია ჩართული, როგორც თვალსაჩინო საბუთი. ლალიაშვილის სადგომში, მრეწენის ქუჩაზე, მე-6 მარანტოვის საპოლიციო ნაწილში, შენობა მლიოზოვისა, სახლი ჭელდჭებელის შაპოვალოვისა,

სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ რევუელი, რომლის თორმეტი გვერდი ყაზანდშით არის დაწერილი. ზემოდან ეპიგრაფად აწერია: „ცოდნა აზატობა, ცოდნა—სინათლეა, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მონაა (ბერანე). პირველ გვერდზე რევუელს სათაურად აწერია: „ჩემი თავ-გადასავალი 1885/6 წელს“.

სემინარიის ინსპექტორმა, იაკობ სტეფანეს-ძემ სტეფანოვმა აჩვენა, რომ პედაგოგიურის კრების ჟურნალისა მებრ 9 დეკემბერს 1885 წელსა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ექსარხოსის მიერ, მესამე კლასის შევირდს იოსებ ლალიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგანაც უპოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ ეწერა, რომ ამტკიცებდა შევირდის შეუწყნარებელ მიმართულებასა. ეს მიმართულება იმიტით გამოჩნდა, რომ ლალიაშვილი არაფრით აგდებდა საეკლესიო მოძღვრებათა და სასულიერო პირთა, აგრეთვე მძულვარებით ლაპარაკობდა თავის დღიურში ერთ-ერთს მასწავლებელზე და დასასრულ, მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ხელ-ნაწერ გაზეთში, რომელსაც მართულად სწერდნენ და რომელსაც სახელად ერქვა „შევილი“.

სრული სახარჯოს მაგიერ, ლალიეს ექვსი მანათის ძლევა დაუწყეს თვეში. ამ ღონემ მაინც თავისი არ დააშლევინა ლალიაშვილს. 12 მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა იმის სახლში, ლალიაშვილმა თავისი წიგნები და რევულები არ აჩვენა იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნები მე არ მეკუთვნისო და ჩემს წიგნებში სხვისიც ურევიაო. როდესაც წიგნები გაუსინჯეს, უპოვნეს ერთი მოზდილი წიგნი: „Отечественныя Записки“-სა და წიგნში რევუელი შემდეგის ეპიგრაფით: „ცოდნა—სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს: თუ ცოდნა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ“. როდესაც ლალიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, ლალიაშვილმა უპასუხა, რომ „თქვენ ნება არა გაქვთ, წიგნები წაიღოთ“. მეორედ ღელსაც ბევრი შეურაცხება მიაყენა სტეფანოვს, რომელმაც სემინარიის მართვლობაში უჩივლა; რექტორმა სთხოვა, რომ გასვლის თხოვნა შემოიტანო. თხოვნის თანახმად, ლალიაშვილი დათხოვნილ იქმნა ცამეტს მარტს და ყოფა-ქცევის ნიშანი (баль) 4 (ძალიან კარგი) დაუსვეს. ამის შემდეგ ლალიაშვილმა ინსპექტორს სტეფანოვს მიჰმართა და სთხოვა, რომ წარმეული დღიური მომეცითო და რექტორს კიდევ რაღაცა წიგნებსა სთხოვდა. უკანასკნელად მკვლელობის ათი დღის წინად, ლალიაშვილი კიდევ მისუ-

ლა სტეფანოვთან და მუქარა დაუწყია—მისთვისა და რექტორისთვის. სტეფანოვმა ეს ამბავი კვლავ შეატყობინა რექტორს და გააფრთხილა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გაფრთხილებაზე ყური არ იქნა მიტეული. ამასთანავე ინსპექტორ სტეფანოვმა გამომძიებელს წარუდგინა ლალიაშვილისაგან ჩამართმეული „დღიური“. ეს დღიური ბამომძიებელს თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორისთვის უჩვენებია, ხოლო პროკურორის დღიური საქმეში არ ჩაურთვია და არ განუხილავს. ოქმში მხოლოდ შემდეგი შენიშვნაა დღიურზე: დღიურში 27 ფურცელია *in quarto*, ამათში 18 ფურცელი დაწერილია და დანარჩენი სუფთაა. დღიურის პირველ ფურცლის მეორე მხარეზე რაღაცა მცირე მხატვრობა იყო და შემდეგის წარწერით „ყვავილი“, პირველ მხარეზეც ეწერა: „იოსებ ლალიაშვილი“. რევუელი რუსულ ენაზეა დაწერილი, ხოლო შიგა-და-შიგ მართული სიტყვები და რიცხვთა ნიშნებიც (цифры) ურევია. ამ სიტყვების ასახსნელი იმავე რევულის 7 ფურცელზეა. დღიურში შემდეგს სიტყვებს შეხედებით: „3 ოკტომბერს 1885 წელს 3-მე კლასის სემინარიის მოსწავლეებმა დაარსეს მართული ჟურნალი: „შევილი“.—12 ოკტომბერს ყველა 3 კლასის მოწაფეებმა არ მიუტანეს სამოქალაქო ისტორიის თხზულებანი, რისგამოც ინსპექტორმა ყოფა-ქცევის ნიშანს თითო რიცხვი მოუკლოა.—„საყვარელო ძმაო ღვით, გთხოვ, რომ შენი შრომა ჟურნალ „შევილში“ არ მოსპოა“.—1885 წ. ოკტომბრის 21 სემინარიელებმა კივინა დასცეს ახალ ზედამხედველს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს იმის გამო, რომ მან უქმად იცის ხოლმე ტანტალი შევირდების საწოლ ოთახში დღესასწაულ დღეებში“.—„26 ოკტომბერს მასწავლებელმა ჰორდანიამ გამოუცხადა შევირდებს, რომ ამის შემდეგ დავითნს წაგაკითხვით მართულს ენაზე ხოლმეო, ზეპირად შეგასწავლით საეკლესიო საგალობლებსა, და სხვა-და-სხვა იეზუიტურს საგნებსაო“.—„ინსპექტორი იაკობ სტეფანოვი სადილთ უკან შემოდის ხოლმე (5 საათზე) კლასებში, თუ ცოტა შექვიფიანებულია.“.—„ყველა ჯაშუშადა და ქეცინა ძალადა სთვლის და ამიტომაც არ იკარებს თინიევს, ინსპექტორის დემურხოლოის პირველს ჯაშუშს“.—1885 წ. 9 ნოემბერს მე მთხოვა ბ-ნ N, რომ ყოველ-დღე ვიარო იმ წრეში, რომელიც სემინარიელთაგან შესდგებო; ამ წრეებმა უნდა აღზარდონ ახალი თაობა, მტკიცეს ხასიათით და კეთილ-გონიერებით სავსე ნამდვი-

გაქვეყნებული

ლი მოღვაწეები. მსურს იოსები“. — „ინსპექტორმა გასინჯა მეორე კლასის შეგირდები, ერთი რვეული ჭ ერთი მართული წიგნი გამოართო“. — მე-12 ფურცელზე აღწერილია ლავლის თხზულებიდან წერილები. ეს თხზულება ლავლის რექტორმა წაართო. — „მე, შამატოვი, ჩიკილაძე, მეტათიევი, ხახუტოვი და შხნაძე ვიყავით კრებაზე კუკიაში. იოსები“. — ამ წრეში კვირაში ორჯერ უნდა ვიაროთ, სამშაბათობით და პარასკეობით.“ — „აღმოჩნდა, რომ რექტორი ღამ-ღამეობით დადის და შეგირდების სასწავლო ყუთებში წიგნებს დაძებებს“.

28 მაისს ხელ-ახლად ჩვენება ჩამოართვეს ღამ-ღამე ლაღიაშვილს და მან აჩვენა, რომ ჯერ სემინარიაში ესცხოვრებდნენ, ხოლო დეკემბერში 1885 წელს, როდესაც დღიური წამართვეს და მის გამო სახელმწიფო სახარჯო მომისპეს და მაგიერად თვეში ექვსი მანეთის ძლევა დამიწყეს, ცალკე ოთახი დავიჭირეთ. 1886 წლის იანვარში გაკვეთილები ვიშოვნე, ვასწავლიდი აქაურის კამანდის ძეგლდჭებელის შაპოვალოვის შეილებს — გემნაზიელებს. მასამრჯელოდ სადგომსა და სადილს მაძლეოდნენ და იმათთან ესცხოვრებდი უკანასკნელ დრომდეო. მარტში ჩემსას იყო ინსპექტორი ზედამხედველით და წიგნებთა შუა მოპოვნეს პისემსკის თხზულება: „მეორმოცე წელთა მოღვაწეები“ და რვეული, რომელშიაც მე ჩემს თავ-გადასავალსა ვსწერდიო. ინსპექტორს, არვიცი კი რათ, ეს წიგნი „Отечественныя Записки“ ეგონა და რვეული მომთხოვაო. ხოლო მე არ მივეცი და ამის გამო ძალ-მომრეობით გასვლის თხოვნა მიმაცემინეს სემინარიიდან დათხოვნისაო. ღამითხოვეს და ყოფა-ქცევის ნიშნად 4 დამისევსო. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაში ვიყავი მით უფრო, რომ იენისში ძეგლდჭებელთან გაკვეთილები აღარ მექნებოდა და სრულიად უშემწეოდა ვჩებოდნენ. ჩამდენჯერმე მივედიო რექტორთან და ესთხოვე, გადამისწორე ყოფა-ქცევის ნიშანი 5-ზე, მაგრამ რექტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდაო. ბოლოს დროს ესთხოვეო, სასწავლებლის მოწმობა მაინც მომეცითო, მაგრამ ამისიც უარი მითხრესო. შეძრწუნებულმა რექტორის ამ გვარ მოქმედებით და ჩავარდნილმა უუკიდურეს მდგომარეობაში, გადესწყვიტე რექტორის მოკვლაო. ეს აზრი მომივიდა 24 მაისზედ ორის კვირის წინ. სწორედ ამ დროს მომიხდა მერის ხილზე გასვლაო, აქ ვიყიდე რომელიღაც მსისაგან ხანჯალი სამ მანათადაო. ეს ხანჯალი მაშინვე წავიდე პეტრე პავლეს

სასაფლაოზე, რომელიც ავლაბარშია, და დავმალე ბალახებშიო. მართის კვირის წინ მკვლელობამდის მე ექსარხოსთან ვიყავი და ესთხოვეო მთავრის ადგილი, მაგრამ ამაზე ექსარხოსმა მითხრაო, რომ ჯერ პრიჩეტნიკად უნდა დაჰყო რამოდენიმე ხანიო, ამის გამო მე დავწერე თხოვნა პრიჩეტნიკის ადგილის შესახებ და 23-ს მაისს ხელ-ახლად მივედი ექსარხოსთან; მაგრამ ექსარხოსმა, რაღაც მიზეზებისა გამო, არ მიმიღო. ეს ის თხოვნაა, რომელიც მე პალტოს ჯიბეში მინახესო. ამის შემდეგ მე კიდევ მივედი რექტორთან და ესთხოვე ყოფა-ქცევის ნიშანის გამოცვლა, მაგრამ კიდევ უარი მივიღეო. მაშინ მე 24 მაისს, დილას, რა კი ჩაი დავლიეო, წავედი სასაფლაოზე, ვიპოვე ხანჯალი და ჩამოვიკიდე ქამარზე პალტოს ქვეშ იმ ფალასით, რომელიც ზედა მქონდაო. სემინარიაში შევედი წინა კარით და მაშინვე დავეშურე რექტორის სადგომისკენ და აქ რექტორის მეუღლე დავინახეო. ჩამოდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდა თვითონ რექტორიო; მე მივართვი თხოვნა მოწმობის შესახებ, მაგრამ რექტორმა უარი განაცხადა თხოვნაზე. მე გამოვედი ოთახიდან, მაგრამ მალე კვლავ უკან დავბრუნდიო იმ აზრით, რომ ეგებ რექტორმა შემიბრალოსო. რექტორი მაშინ იდგა წინა ოთახის ახლოს. მე განვიმეორე ჩემი თხოვნა, მაგრამ რექტორმა კვლავაც უარი მითხრა. მაშინ კი გამოვედი მოთმინებისაგან და ხანჯალი დავეცი რექტორსაო. ჩამდენჯერ ჩავეცი მერმე კიდევ ხანჯალი და ან რა ალაგს, — ეს მე არ მახსოვს. არც ის მახსოვს, თუ როგორ გავიქაწრე მე თვითონ ხელიო. ჩემი განზრახვა რექტორის მოკვლის შესახებ არაფერ არ იცოდა, რადგანაც არა-ვისათვის არ მითქვამსო. დღიური, წარმოდგენილი ინსპექტორისაგან, სწორედ იგია, რომელიც ჩამომართვესო. მთელი სტრიქონები ციფრებისა, რომელნიც მოიპოვებთან იქ ალაგ-ალაგ, არაფერს არ მოასწავებენო.

ძეგლდჭებელმა სტეფანე შაპოვალოვმა და მისმა მეუღლემ მარიამ ღიმიტრის ასულმა აჩვენეს, რომ ლაღიაშვილი, რომელიც ასწავლიდა მათ ყმაწვილებს, სცხოვრებდა ძლიერ ღარიბათაო. როდესაც დაითხოვეს სემინარიიდან, იგი ყველაზე უფრო სჯავრობდა ინსპექტორზე და ამბობდა, რომ იმან დამაბეზლაო. რექტორზე კი ცუდად არაოდეს არ ულაპარაკნიაო. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ იგი უფრო გულს-მოდგინედ მოეკიდა სწავლასაო და ამბობდა, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში უნდა



შევიდეთ. მეგრე გამოგვიცხადა, რომ იმ ყოფა-ქცევისა ნიშნით, რომელიც მე მომცა სემინარიის მთავრობამ, ინსტიტუტშიაც არ მიმიღებნო და როდესაც ჩვენ ურჩიეთ, რომ სთხოვე რექტორს, ეგებ გადაგისწოროსო, მან გვიპასუხა: „ესთხოვე, მაგრამ არა გამოვიდარაო. ჰე, ლმერთმა მშვიდობა მისცესო, წაეალ ბორს და იქ შევალ სასწავლებელშიო; ბორის სასულიერო სასწავლებელიდამ გამოვიტან მოწმობას, იქნამნ მაქვს ყოფა-ქცევაშიო“. ამას მარიამ შაპოვალოვისამ დაუმატა, რომ როდესაც ლალიაშვილმა არ მისცა წიგნი ინსპექტორს, ჩვენ ეურჩიეთ, რომ ბოდიში მოეთხოვაო, მაგრამ მან გვიპასუხა: «ვითხოვე, მაგრამ ყურიც არ მათხოვესო».

ბრალდებული იოსებ ლალიაშვილი, როგორც სჩანს სხვა-და-სხვა ცნობებიდან: არის შვილი ბორის მაზრის, სოფ. ხურვალეთის მღვდლის იაკობ ლალიაშვილისა; შვილის წლისა ყოფილა, როცა მოჰყდომია ჯერ დედა, შემდეგ მამა და როცა აუყვანია იგი გასაზრდელად მისს ბებიას, ნინა მახარაშვილისას, რომელიც სცხოვრებდა ქ. ბორში. მართის წლის შემდეგ იგი შევიდა თურმე ბორის სასულიერო სასწავლებელში.

ნინა მახარაშვილისამ, მისმა შვილებმა, ნათესავებმა და აგრეთვე ზედამხედველმა და მასწავლებლებმა ბორის სასულიერო სასწავლებელისამ, როგორც სჩანს თბილისის საგუბერნიო კანდარმების გამგეობის უფროსის თანაშემწესაგან შეკრებილ ცნობებიდან, აჩვენეს, რომ იოსებ ლალიაშვილი ცნობილი იყო, როგორც ძრიელ კარგის ყოფა-ქცევის ყმაწვილი, ტკბილის ხასიათისა, ჩუმი, წყნარი, მორჩილი, პატივის-მცემელი, მომთმენი და არაფერს ცუდში შენიშნული არ ყოფილაო. ნინა მახარაშვილისამ ამის გარდა ისიც სთქვა, რომ ჩემს ღვიძლ-შვილებზე უფრო მიყვარდა იგიო.

იოსებ ლალიაშვილის წლოვანების შესახებ შემდეგი ცნობებია შეკრებილი:

საქართველო-იმერეთის უუწმ. უმართებულესის სინოდის კანტორამ, 30 მაისს 1886 წ. № 3096 აუწყა, რომ სამეგრელოს ეპარქიის, ნაჯახევის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მეტრიკის წიგნში, 1866 წლის დაბადებულების სიაში სწერია: «დაიბადა 2-ს იანვარს, მოინათლა 10-ს იმავე წლის იანვარს იოსებ. მისი მშობლები: მღვდელი იაკობ ლალიაშვილი და კანონიერი ცოლი მისი პლემენსია». ამასთანავე კანტორამ განაცხადა, რომ საეპიკოპოსო ის ცნობა, რადგანაც, როგორც ამ საქმის გამოსაკვლევად შემ-

დეგი ცნობა იყო შეგროვილი: 1) სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის იაკობ ლალიაშვილის ნამსახურობის აღწერილობის პირი 18^{65/66} წლისა. ამ აღწერილობაში სწერია: «ცოლიანია, ჰყავს შვილი იოსები, რომელიც დედ-მამასთან სცხოვრებს». 2) მღვდლად კურთხევის გრამატაში, რომელიც მასწავლებელს იაკობ ლალიაშვილს 30 სექტემბერს 1866 წელს მიუღია, ნამდვილში სწერია: «ერთის წლის შვილი იოსები ჰყავს». ამავე გრამატაზე ექსარხოზის მესეის ხელია მოწერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ იაკობ ლალიაშვილი 13 ოქტომბერს არის მღვდლად ნაკურთხი. 3) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გარდაწყვეტილებიდან 9 ნოემბერს 1866 წლისაში სჩანს: «წინაღ მასწავლებელისა, დღეს მღვდლის იაკობ ლალიაშვილის და მღვდლის თეოდორე ღანილოვის ქალის პლემენციის დაქორწინება, რომელიც მეტრიკაში ჩაწერილი არ იყო, როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, ნამდვილი ყოფილა და მომხდარა 27 აპრილსა 1864 წელსა». 4) მსურვალეთის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლის იაკობ ლალიაშვილის ნამსახურობის აღწერილობის 1874 წლის პირიდან სჩანს: «ქვრივია; ამის შვილები: იოსები 8 წლისა, ალექსანდრე—7 და პედუსია 6 წლისა; 15) ბანძის ბლაღოჩინის მეტრიკის წიგნების აღმოწერილად 1866 წლისა და აგრეთვე ზემოდ მოხსენებულ სინოდალურის კანტორის გამოძიებიდან სჩანს, რომ მღვდელს იაკობ ლალიაშვილსა და მის მეუღლეს პლემენციასა დაჰბადებიათ 2 იანვარს შვილი იოსები. თვით იოსებ ლალიაშვილი აჩვენებს, 19 წლისა ვარაო.

შველა იმის ძალით, რაც ზემოდ მოხსენებულია, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოარიცხული მღვდლეს შვილი იოსებ ლალიაშვილი სამხედრო სამართალში ეძლევა და ბრალდება, რომ იმის შემდეგ, როდესაც სემინარიის რექტორმა რამდენჯერმე უარი უთხრა ლალიაშვილს, მოწმობაში 4 ნიშანი ნაად გადაესწორებინა, და აგრეთვე არ მისცა ბორის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა, რომელიც სემინარიაში ინახებოდა, — ლალიაშვილმა განიზრახა რექტორის დეკანოზ ჩუდევკის მოკვლა. ამ განზრახვით 24 მაისს 1886 წელსა ლალიაშვილი ხანჯლით მივიდა რექტორ დეკანოზ ჩუდევკისთან, დაუწყა მართლაპარაკი და ამ დროს ხანჯლით მძიმედ დასჭრა. მეტადრე მძიმე დაჭრილობა ჰქონდა მუცელში და ამ კრილობის გამო დეკანოზი ჩუდევკი გარდაიცვალა.

მოქმედება ესე ექვემდებარება სასჯელთა წესდების 1454 მუხლსა და უმაღლესის ბრძანებით დამნაშავე პასუხის გებაში ეძლევა 279 მუხ. XXII წიგ. 1869 წ. გამოც. 2-ის მიხედვით.

(გაგმელება იქნება)

ახალი აგაპი და უანიშნავი.

ჩვენ გვევითნებიან ზოგიერთი ბლალაჩინები: ძმობის წიგნების ფულები ვის უნდა გაეგზავნოს შემდეგ დეკანოზის ჩუღეცკის გარდაცვალებისაო. ჩვენ, როგორც ვიცით, ძმობის საქმეების გამგეობა ექსარხოვისაგან აქვს მინდობილი სიონის კათედრის დეკანოზ-მამა მსტატე მლიევს და იმას შეიძლება გაეგზავნოს ხვედრი ფულები და ან ძმობის გამგეობის ჩაზინადარს ბლალაჩინს მღვდელს მამა ბრიგორი პეტრიევს.

შოვლად სამღვდლო ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბრიგორი 27 ამ ივნისს შოთილამ მარტვილში წაბრძანდა. პეტრე-პავლობას მარტვილში იქნება მწირველი. შევითყუეთ, რომ ამ დღეს მარტვილის სოლოზოში ბ. შილიმონ შორიძის ლოტბარობით იგალოზებენ ნოტებზე ახლად გადაღებულ ქართულ საეკლესიო გალობას.

ბევრმა მოხუცებულმა მღვდლებმა, რომელთაც პენსია ეძლევათ, შემოგვიჩილეს, რომ პენსიის მიღების საქმე მათ ერთობ გაძნელებული აქვს და ითხოვენ, რომ როგორიმე გზით ამ პენსიის მიღება გაუადვილდესთ.

მოსავლის პირი კარგი სწნას იმერეთში, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიციფებმა ძლიერ აზარალეს ვენახებს მთა აღგილებში.

ჩვენ შევითყუეთ, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის სეკრეტარს ბ. სიმონაშვილი თვის თავისუფლება მიეცა და რუსეთში, თავის მამულში, გაემგზავრა. წარსულ კვირაში ნაცნობებმა

და მეგობრებმა, ბლომათ ერთათ თავ-მოყრილებმა, ღიღის ამბით გააცილეს ის თბილისის რკინის გზის ვაგზალამდე. საკვირველ და სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა ეს გაცილება. ღიღის მწუხარებით ეთხოვებოდნენ მართველები მას და ღმერთსა სთხოვდნენ მის ტანის სიმრთელეს და უკან მალე დაბრუნებას.

მის მოადგილედ დროებითად დანიშნა ბ. ილია მოსესძე პიკნაველიძე.

რკინის ჯვრის მთა ხელ-მეორედ დათვალია ამ უკანასკნელი წვიმების დროს. პირველ დათვასაგან ღიღი ზარალი მოხდა. მრავალი საქონელი, რომელიც ამ მთაზე საბალახოდ იყო მოყვანილი ზარეული სოფლებიდან, დაიხრცა და რამდენიმე კაციც იმსხვერპლა სიციფემ.

ასეთივე უბედურება მომხდარა ჩიჯავაძეების მთაზე, რომელიც ს. საჩინოს მახლობლად არის. ამ მთაზე ივნისის 13 და 14 რიცხვებში ისეთი სეტყვა და ბურუსი ყოფილა, რომ კაცს გზის გაგნება არ შეეძლო. მთელი მთა ისე მოტიტვლებული არის თურმე, რომ ერთი ძირი ხეც არ არის, რომ კაცმა ცუდი ამიდის დროს თავი შეიფაროს. ამ სეტყვის დროს ბევრი საქონელი გადავარდნილა კლდეებში და დაღუპულა. მარტო ერთს თავადს დ. აგიაშვილს როგორც ამბობენ, უკანასკნელი ოთხი ათასი მანეთის ზარალი მოსულია. ამ თავადის მთელი ჯოგი ცხენისა და რამდენიმე უღელი კამეჩი დაღუპულა ამ დღეებში ამ მთაზე. ზარდა ამისა ამ დღეებში ამ მთაზე სამი კაციც მომკვდარა სეტყვისაგან.

რუმელიიდან (სლავიანების ქვეყნიდან) ჩვენ მივიღეთ ჩვენი კორრესპონდენტისაგან წერილი. ამ წერილში კორრესპონდენტი აგვიწერს ეხლანდელი რუმელიის და მთელი ბოლგარიის სამწუხარო მდგომარეობას. კორრესპონდენტი მოგვითხრობს, რომ მართებლობის მომხრეებსა ერთის მხრით და ხალხთა და სამღვდლოებათა შორის სუფევს განხეთქილება. დაბალ ხალხს და სამღვდლოებას სურს, რუსეთის ხელმწიფემ მიიღოს ბოლგარია და რუმელია თავის გამგეობაში და მართებლობაში. მართებლობა და მისი მომხრენი კი სათათრეთისკენ იწევენო.

უკანასკნელი დროის ზოგიერთი საუკუნადღებო

ცელეგრაფები.

23 ივნისს.

სოფია. მთავრობამ შეიტანა საერთო კრების წინაშე წინადადება სასახლის მიერ 30 მილიონის ჭრანკის ბილეთების გამოცემის თაობაზედ ცარბროდო საკორელის რეინის გზის გასაკეთებლად და რუმუკ-ვარნის რეინის გზის სასუილად.

ზარიჟი. სენატმა მოიწონა და დაამტკიცა კანონ-პროექტი მსოფლიო გამოფენის გამართვის თაობაზე 1889 წელს.

24 ივნისს.

პეტერბურგი. გუშინ დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული მშვიდობიანად განთავისუფლდა და მიეცა მე, რომელსაც სახელად იოანე უწოდეს.

გენა. გუშინ რუსეთის ელჩისა და აქაურ სწავლულთა მრავალ წარმომადგენელების თანა-დასწრებით მიაბარეს მიწას რუსეთის ბუნების-მეტყველი აბისი. გვამს გაჭკვანთან როტას დასაწვავად.

24 ივნისს.

გენა. აქაური გაზეთები იუწყებიან, რომ რამდენიმე ასი ოსმალო ჩერნოგორიის სამხედვარს გადავიდნენ, რამდენსამე სახლს ცეცხლი წაუკიდეს, სამხედვრის სიმაგრეები დაიწერესო და მხოლოდ ცხარე ბრძოლის შემდეგ იქმნენ გაძევებულნიო. ჩერნოგორელებს 7 კაცი მოჭკვდომიანთ და 13 დასჭრიათ; ოსმალოებს უფრო დიდი ზარალი მოსულიათ.

ლონდონი. ამორჩეულ-იქმნენ 168 კონსერვატორი, 36 მოწინააღმდეგე ლიბერალი, 76 კლადსტონის მომხრე და 27 ჰარნელისტი.

დუბლინი. დღეს დამე ბრბო ხალხისა დაეცა კონსერვატორების კლუბსა, მაგრამ ფანჯრებიდგან ტყვია დაუშინეს, 1 მოკლეს და 36 დასჭრეს. წესიერება ჰოლიციამ აღადგინა.

მღვდელთა საეპარქიო. გვირგვინის, ხმის და საფისკრო სასარების მაჩვენებელი მთელს ამ ჩუპე წელში.

თვე	რიცხვი	ყოფ. წმინდ. გვირგვინი	ხმა	სასარება
ივნისის	კთ	ღ	ბ	ღ
ივლისის	ვ	ე	ღ	ე
—	იზ	ე	ე	ე
—	კ	ზ	ე	ე
—	კზ	ც	ზ	ც
აგვისტოს	ბ	თ	ც	თ
—	ი	ი	ა	ი
—	იზ	ია	ბ	ია
—	კდ	იბ	ბ	ბ
—	ლ	ივ	ღ	ღ
სექტემბრის	ზ	იღ	ე	ბ
—	იღ	იე	ე	ღ
—	კა	ივ	ე	ე
—	კც	იზ	ც	ე
ოქტომბრის	ე	იუ	ა	ე
—	იბ	იო	ბ	ც
—	იო	კ	გ	თ
—	კვ	კა	ღ	ი
ნოემბრის	ბ	კბ	ე	ია
—	თ	კგ	ე	ა
—	ივ	კდ	ზ	ბ
—	კვ	კე	ც	ბ
—	ლ	კვ	ა	ღ
დეკემბრის	ზ	კზ	ბ	ე
—	იღ	კც	ბ	ე
—	კა	კვ	ღ	ზ
—	კც	ლ	ე	ც
იანვრის	ღ	ლა	გ	თ
—	ია	ლბ	ზ	ი

ნ ა რ ე ჯ ი .

ამერიკული წესები ცხოვრებისა.

საფუძვლიანად შეისწავლე შენი ხელობა. მტკიცეთ და-
დექი ერთ ხელობას და ნუ გამოიცვლი მას. იმეცადინე, რომ
ყოველივე გააკეთო მაღლეს, მაგრამ ნუ აჩქარდები. ყოველივე
შენს საქმეში დაიცვე რიგი. დაწყებული საქმე ყოველთვის და-
თავე. ერთი საქმე, რომელსაც დღეს გააკეთებ, ელირება ორად,
რომელსაც შენ აპირებ გააკეთო ხვალ. ბევრს ნუ გაუგონებ
სხვის რჩევებს, გარნა იყავ დამოუკიდებელი სხვაზედ. მტკიცედ
დადექი შენს გარდაწყვეტილებას და ყოველივეში იყავ პირიანი
და აღმასრულებელი. ნურას დროს ნუ გაჩერდები უსაქმოდ;
შენს ჭკუას და ხელებს ყოველთვის გაუჩინე სასარგებლო საქმე;
სამაღა დაისვენონ მათ მხოლოდ ძილის დროს. ყველას მოე-
ქცი თავაზიანად, იყავ სულ გრძელი სიტყვით და საქმით.
შეწიე სხვებს, რომ ეკლიანი ცხოვრების გზა გავლონ. ყო-
ველთვის დაიწყე ცოტადგან. შენზე დღეს მაღლა მდგომნი
წინეთ პირს იდგნენ. ნუ მეცადინებ უკებ გამდიდრებას, თუ მცა
კი ცოტა, მაგრამ ნამდვილი სიმდიდრე უზრუნველ ჰყოფს
შენს კეთილ-დღეობას, ყოველთვის იფიქრე, რაზედაც ღაპარა-
ვობ; მხოლოდ უჭკუონი ღაპარავობენ მას, რაზედაც არ ფიქ-
რობენ. განსოვდეს, რომ აზრი გეკუთვნის მხოლოდ შენ; სიტყ-
ვები კი, შენგან წარმოთქმული, შეიქნებიან ყველას კუთვნი-
ლება.

ცოფიანი ძალისაგან დაკბენილი კაცის ნაამბობი.

ერთ ფრანგულ გაზეთში იყო დაბეჭდილი წერილი ბარ-
რიუსისა, რომელიც დაჰკბინა ცოფიანმა ძაღლმა. ეს კაცი წაე-
ყვანათ პარიჟში პასტერთან. ბარრიუსი ღაპარავობს თავის
წერილში, რომ როდესაც ის მივიდა ამ ნასწავლი კაცის ლაბორა-
ტორიაში, ნახა, რომ იქ ისხდნენ 32 კაცამდე და უცდიდნენ
აცრის რიგს. ყველა ეს კაცები იყვნენ ძალიან მოწყენილნი და
ხან-და-ხან მათგან ისმოდა ამოხვნარა. ბარრიუსისათვის პირვე-
ლად დაუძახათ ასაცრელად პასტერის კაბინეტში. ბარრიუსი
ამბობს, რომ ჩხვლეტა ისე მცირე იყო, რომ მე თითქმის არც
კი მიგვრძნობდა; მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მოელს ტანში
ვიგრძნე რაღაც კანკალი; თავი გამობრუნდა, მე კინაღამ არ
დავეცი და ორივე ხელებით დავებჯენ სტოლზე; ეს გრძნობა
იყო უცეფური; მაგრამ ისეთი ძლიერი და ისეთი ძლიერი შთა-
ბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მე ფიქრი ვიწყე მეორე
დღეზე და მეორე დღეს კინაღამ არ გაგბრუნდი უკანვე; რად-
გან აღარ მინდოდა შევსულიყავი პასტერთან. ორი უკანასკნე-
ლი ჩხვლეტა ისეთი ძლიერი იყო, რომ ძალიან მეტკინა და
სიმსივნეც გამოიწვიეს ნახვლეტებზე. მესუთე აცრის შემდეგ
ანაცრე ადგილებზე იწყეს მორჩენა და აღარ მტკიოდნენ. მაგ-
რამ მე თვითონ გავხდი ავათ: თავი წარმოუდგენლად მტკიოდა;
მოელს ტანში ვგრძნობდი მეტის-მეტ სისუსტეს; მედამ მეჩვენ-
ებოდა, რომ გავცოფიანიდი; წამოვხტებოდი ხშირად, მივარდე-
ბოდი წყლიან გრაფინს, დავასხამდი წყალს სტაქანში, მივი-

ტანდი პირთან, მაგრამ ისევ უკანვე ვბრუნდებოდი, დაღუევა არ
შემეძლო, თუმც ძალიან მწყუროდა და პირი გამშრალი მქონ-
და. ერთი სიტყვით, მე ხელოვნურად გაცოფიანებული ვიყავი.
ამ მდგომარეობაში ვიყავი სამი დღე; მეოთხე დღეს რომ გამო-
ვიღებო, სრულიად კარგად ვიყავი და სიხარულით გავიქეცი
ლაბორატორიაში პასტერთან. ეს იყო მეორე დღე აცრის შემდეგ.
ჩვენ ყველანი გადაგვზატეს და ჩვენი სურათები დაიტოვეს.
მეთუ დღეს პასტერი გამოგვეთხოვა ყველას და მასთან ყვე-
ლას დაგვირიგა თავის სურათები და გვთხოვდა, რომ არ
დაგვევიწყნა ის. ბარრიუსისაგან პასტერს ფულები არ მიუღია
მორჩენისათვის.

რედაქციის პასუხი.

- ა. ა. ბას — ევს. ბეჭდი დაწერილა მცხეთაზე, ამიტომ
თქვენი წერილი არ იბეჭდება.
- დ ი ო ნ. ხ. ზასკი ხომ გავიგეთ, როდის არის?
შემდეგი დღესასწაული დღეების შეტ-
უობის აღსნა საჭიროა ღაჩ არის;
ამას უდხსნელადც მისვდებიან ყველანი.
- ი. შ — ეს. რუსებს ვერ გავაგვირგებთ ჩვენი რუ-
სული ლექსებით. ქართულადც ცო-
ტა იყოს და კარგი. სვალსონის
წიგნაგის თარგმნა არ იბეჭდება.
სვალსონის აზრს ბეჭდი ყვეს წი-
ნააღმდეგი.
- მლ. მრ. ბაბ — ეს. სწორეთ გული შეაწუსა ამდენმა
ამოდ მოწმუნებაზე წერამ. თქვენ
ამბობთ: «ჩვენი საქმეს ამ ცუდი
ჩვეულების მოსპობაა». რადან უეუ-
რებთ? მოსვით და მადლობელი იქმ-
ნებიან!..
- ვ ი ნ მ ე მ ე ს ხ ს. ყველანი ვიძახით: თვალი გაკანკალეთ,
გავიღვიძეთ, მამულს დავესმარეთ,
ასე მოვიქცეთ, ისე მოვიქცეთ, მაგ-
რამ საქმით აღმსრულებელს ვერ ვსე-
დავთ. მრავალჯერ გატარებულა გა-
სეთებში ის აზრი, რომელსაც თქვენ
ესლა იწერებთ და ნიადაგ ერთი და
იგივეს წერა თავს მოაბეზრებს მკით-
ხველებს.
- სოფრომ მოდუას. არც ერთი კეთილი საქმე არ დაწყე-
ბულა, რომ მას წინააღმდეგნიც არ
აღმოსჩენოდნენ. თუ ყველა ეს მო-
წინააღმდეგენი მოამოკრეს საზოგა-
დობას, მაშინ ვიღას ვასწავლით?
- ტ. ბ — ეს. გავიგეთ და შევეტყუეთ, რომ ჩვენ
კარგა მომსახურებული პედაგოგები
არა გვყავან. ამის დასამტკიცებლად
არც შექსპირის სიტუებების მოყვანა
საჭიროა და არც სსვისია.

განცხადებანი.

ისუიდებიან მღვ. დავით დამბაშიძისაგან
გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიჭუროვის წიგნის მა-
ლაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების
წიგნის მალაზიაში. ქვირილაში: ქვირი-
ლის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლე-
სიო წიგნების საწყობში და დ. ხონში:
წერეთლის წიგნის მალაზიაში.

სახელდობრ:

საქართველოს საეკლესიო ისჯორია

ფასი უუდოთ—ცხრა შაური.

ქართული ღოჭვანი.

ფასი უუდოთ 30 კ. და უდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრუ-
ლების დროს საჭირო.

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა
წესდგომება, ფასი პორი აბაზი.

ახალი პარაგადინი,

ფასი უდით ერთი მან.

ყვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში
ისუიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საე-
კლესიო წიგნები და წიგნები.

ს ტ ა მ გ ა

მ. დ. ღამბაშიძისა და ა. ი. ხელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მზებუდელი მაშინით
და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში
15 მაისს, 1886 წ. კნიაჟესკის და ნემეცის
ქუჩაზე, საქალბო გიმნაზიის პირ-და-პირ,
მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს
სხვა-და-სხვა ენებზედ. შასი ყველა საბეჭდავზე
ზომიერია. შეეცეთილი საქმეები დაპირებულ
დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელთებას ყოველ-გვარი საჭირო
ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია
ზომიერ ფასად. ჭალაქს გარეშე მცხოვრებთა
შეუძლიათ მიმართონ ამ აღრესით: *Въ Ку-*
таисъ, съ типографію Гамбашидзе и
Хеладзе ანუ *Въ Квирилу, съ редакцію*
„Мукемси“ (Пастыръ) и Въ Тиф-
лисъ съ типографію Е. И. Хеладзе.
съ собст. домъ.

შინაარსი: ჩვენა წარმაც ვაჟ-კაცების
ქალბატონების საუყრადღებოდ.—მკვლელთა თბილის
სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის
დეკანისა ლალი შვილის მიერ.—ახალი ამბები და შენიშ-
ბები.—ტელეგრაფები.—მღვდელთა საუყრადღებოდ
ნარკვი.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. დამბაშიძე.

Доз. цензурою Кутаисъ, 29 Іюня, 1886

მსწრაფლ-მზებუდელი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ა. ი. ხელაძისა.